




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# ელექტროენერჯის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება

ელექტროენერჯის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება, მრეწველობის დარგი, რომელიც მოიცავს ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება-განაწილებას, აგრეთვე წყლის დაგროვებას, განმენდას და განაწილებას. იგი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მრეწველობის სამი შემადგენელი ქვედანაყოფისა – C+D+E, სადაც C – სამთომომპოვებელი მრეწველობაა, D – დამმუშავებელი მრეწველობა, E – ელექტროენერჯის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება. მისი წილი მთლიანად საქართვე. მრეწველობაში შეადგენს საწარმოთა რაოდენობის 1,7%-ს, წარმოებული პროდუქციის ღირებულების – 18,0%-ს, დასაქმებულთა რიცხოვნობის – 21,2%-ს და ძირითადი კაპიტალის – 57,3%-ს (2010 წ.). საქართველოს ე., გ. და წ. ნ. და გ-ის შიდა დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანია ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება. მასზე მოდის აღნიშნული პროდუქციის წარმოება-განაწილების 71,1% და ძირითადი კაპიტალის – 81,1%. 2003–10 წლებში დარგის პროდუქცია მოქმედ ფასებში გაიზარდა 84,3%-ით, მ. შ. ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება-განაწილება – 66,0%-ით, წყლის დაგროვება, განმენდა და განაწილება – 4,2-ჯერ (იხ. ცხრ., მლნ. ლარი): ე., გ. და წ. ნ. და გ. მიეკუთვნება ბუნებრივი მონოპოლიის დარგებს და არეგულირებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ).



**დ. ჩოქანიძე**

---